



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაზასძე ივანე

აბაზასძე ივანე, საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის ერისთავთერისთავი XI ს. I ნახევარში, მეფე ბაგრატ IV-ის დროს.

ბაგრატის მცირეწლოვანებისას ქართლ-კახეთის სხვა გამგებლებთან ერთად ილაშქრა საქართველო. სამეფოსაგან განდგომილი განძის ამირა ფადლონის დასასჯელად. 1032 ა-მ და ლიპარიტ ბაღვაშმა შეიპყრეს თბილ. ამირა ჯაფარი და ხელთ იგდეს ბირთვისის ციხე. საქართველო. სამეფო კარზე ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო თბილისის შემოერთება ვერ მოხერხდა. „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ (XI ს.) ცნობით, ა. და მისი ოთხი ძმა იმდენად განდიდდნენ და გაძლიერდნენ, რომ შეთქმულება მოუწყვეს ბაგრატ IV-ს. მეფემ შეთქმულნი შეიპყრო. ქართლის ერისთავობა გადაეცა ლიპარიტ ბაღვაშს.

ლიტ.: იხ. სტ-თან [აბაზასძენი](#).

ნ. შოშიაშვილი
